

ვალერიან გუნია

ვალერიან გუნია დაიბადა 1862 წლის 9 (22) იანვარს სენაკის მაზრის სოფელ ეკში. მამა, ლევან გუნია საკმაოდ განათლებული კაცი იყო. მუშაობდა ჯერ ადმინისტრაციის მოხელედ, შემდეგ ფოთის ქალაქის თვითმმართველობაში. ვალერიანის დედა იყო ანასტასია ქაიხოსროს ასული ჩიჩუა, იმ დროისთვის დიდი მწიგნობარი და მცოდნე ქალი.

1876-1881 წწ. სწავლობდა თბილისის რეალურ სასწავლებელში. მისი თანაკლასელები იყვნენ ოსკარ შმერლინგი და გიგო გაბაშვილი, რომელთაგანაც ვალერიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ამ პერიოდში იგი თავადაც ხატვით იყო გატაცებული.

სწავლის პერიოდში ვ. გუნია ინტენსიურად კითხულობდა პოლიტიკურ ლიტერატურას და ჩაება იმდროინდელ არალეგალურ მოძრაობაში და გახდა ნაროდნიკული ორგანიზაციის წევრი. რევოლუციური ორგანიზაციის მიერ იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმასთან დაკავშირებით მოსწავლეთა არალეგალურ კრებაზე სიტყვით გამოსვლის გამო სასწავლებლიდან გარიცხეს. 1981 წელს იგი მოსკოვს გაემგზავრა, სადაც მოეწყო პეტროვო-რაზუ-მოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად.

მოსკოვში ცხოვრების პერიოდში ა. სუმბათაშვილ-იუჟინის მეშვეობით (რომელიც იმხანად მოსკოვის საიმპერატორო მცირე თეატრში მოღვაწეობდა) დაუახლოვდა მოსკოვის მცირე თეატრს, დაინტერესდა სასცენო ხელოვნებით და პრაქტიკულად შეუდგა თეატრალური საქმიანობის შესწავლას. 1882 წელს იმპერატორ ალექსანდრე III-ის კორონაციასთან დაკავშირებით, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, სამშობლოში დააბრუნეს. აქედან იწყება მისი თეატრალური კარიერა.

1883 წელს ვ. აბაშიძის ხელმძღვანელობით პირველად გამოვიდა სცენაზე ითამაშა პოეტ გრენგუარის როლი ტ. ბანვილის პიესის (ფრანგულიდან ნათარგმნი კ. მესხის მიერ) მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „მეფე და პოეტი“, რომელშიც მეფის როლს ალ. ყაზბეგი ასრულებდა. მისი დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა და ქართული თეატრის დასში ჩაირიცხა.

1886 წ. მუშაობას იწყებს გაზეთ „ივერიაში“ ი. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, სადაც ბეჭდავს რეცენზიებს „ვალეიკო-ია“-სა და „ვ-ო“-ს ფსევდონიმებით. ამას გარდა სხვადასხვა პერიოდში რედაქტორობს გაზეთ „თეატრს“ (1886 წ.), გამოსცემს: „საქართველოს კალენდარს“ (1888 წ.), გაზეთ „ცნობის ფურცელს“ (1896-99 წწ.) და ჟურნალ „ნიშადურს“ (1907 წ.).

1895 წ. ინიშნება ქარვასლის მმართველად. 1900 წლიდან მართავდა ე. წ. „გამოსაცდელ წარმოდგენებს“, სცენაზე მოღვაწეობის მსურველი ახალგაზრდებისთვის. მისი ხელმძღვანელობით სისტემატურად იქმნებოდა უმუშევარ მსახიობთა ამხანაგოები („მოგზაურთა დასი“), იმართებოდა საგასტროლო სპექტაკლები საქართველოს დაბა-ქალაქებსა და სოფლებში.

1882-1908 წწ. მუშაობდა თბილისის, 1909-1911 წწ. ქუთაისის (რეჟისორი და მსახიობი), 1922-23 წწ. ბათუმის თეატრებში, 1926-1927 წწ. ხელმძღვანელობდა ბაქოს ქართულ თეატრს. სათეატრო სარბიელზე ეწეოდა მრავალფეროვან საქმიანობას. იყო წამყვანი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, თარგმნიდა პიესებს და სხვ.

ვ. გუნიას საზოგადოებრივი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ იგი აირჩიეს ილია ჭავჭავაძის დამკრძალავი კომისიის თავჯდომარედ, აკ. წერეთლის საიუბილეო კომისიის წევრად.

ვ. გუნიას შესრულებული აქვს 200-მდე როლი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ოთარ-ბეგი და სოლეიმანი (ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“), გელა (აკ. წერეთლის „პატარა კახი“), კოტე ფანტიაშვილი (ავტ. ცაგარლის „ხანუმა“), კონსტანტინე ბატონიშვილი (ალ. ყაზბეგის „ქეთევან წამებული“), შაჰ-აბასი (დ. ერისთავის „სამშობლო“), როდამიშვილი (დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“), მეფობე ნიკიტა (ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილი მუხა“), თომა (ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“), ოსიპი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), სკალოზუბი, რეპეტილოვი (ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“), ნიკიტა (ლ. ტოლსტოის „მეუფება წყვილ-

ადისა“), ონოფრე (ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“), ბერსენევი (ბ. ლავრენიოვის „რღვევა“), ოიდიპოს მეფე, კრეონი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ „ანტიგონე“), ოტელო, მეფე ლირი, ბრუტოსი, (უ. შექსპირის „ოტელო“, „მეფე ლირი“, „იულიუს კეისარი“), კარლოს ფრანცი, (ფ. შილერის „ყაჩაღები“), ბენ აკიბა (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“) და სხვა.

მისი რეჟისორობით თეატრში წარმოდგენილი იყო 200-ზე მეტი სპექტაკლი. მათ შორის ქართულ თეატრში პირველად დაიდგა „ვიდრე ჰხვალ?!“ (გადმოკეთებული გ. სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ, უფალო?!“), ე. ჩირიკოვის „ებრაელები“, გ. სუნდუკიანის „აბანოს ბაღა“, მორეტის „ახალი მოძღვრება“, ჰ. იბსენის „ჰედა ჰაბლერი“, ს. კოსოროტოვის „გაზაფხულის ნიაღვარი“, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“. აგრეთვე მრავალი ორიგინალური და გადმოკეთებული პიესა.

ვ. გუნიას დიდი ღვაწლი მიუძღვის თეატრის რეპერტუარის გაფართოებაში. დაწერა, ქართულად გადმოაკეთა და თარგმნა 100-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის დრამატული ნაწარმოები. მის კალამს ეკუთვნის პიესები: „და-ძმა“, „უკანონო შვილი“, „შვილის ცოდვისათვის“, „ახლანდელი მეზობლები“, „ჩატეხილი ხიდი“.

გადმოკეთებული აქვს პიესები: „აღლუმი“, „სიძე-სიმამრი“, „აირია მონასტერი“, „ზოგი ჭირი მარგებელია“, „პირველი ბუზი“, „ძალა აღმართს ხნავს“, „ციხის საიდუმლო“, „ორი გმირი“, „ივერიდის ოჯახი“ და სხვ. ვ. გუნიას დრამატული ნაწარმოებები წლების მანძილზე ავსებდა და ამდიდრებდა რევოლუციამდელი პერიოდის ქართული თეატრის რეპერტუარს.

ვ. გუნიას ეკუთვნის აგრეთვე ლიბრეტოები ოპერებისთვის: ზ. ფალიაშვილის „დაისი“, რ. გოგინაშვილის „ქრისტინე“, დ. არაყიშვილის „დინარა“, მანვე თარგმნა ფ. ბიზეს „კარმენის“, ა. რუბინშტეინის „დემონის“, ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი“ აგრეთვე პიესები: ა. დიუმას „ედმონდ კინი“, გ. ზუდერმანის „მამულ-დედული“, ნ. გოგოლის „რევიზორი“, ს. კოსოროტოვის „გაზაფხულის ნიაღვარი“, ე. ჩირიკოვის „ებრაელები“, ლ. ფულდის „ჩერჩეტი“, ჰ. ჰაუფტმანის „სულით ობოლი“, ლ. ანდრეევის „ანფისა“, ჰ. იბსენის „ჰედა ჰაბლერი“ და სხვა.

პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული აქვს მრავალი რეცენზია ქართულ და რუსულ სპექტაკლებზე, სტატიები და წერილები მსახიობის შემოქმედებისა და სათეატრო საქმიანობის შესახებ. ცალკე წიგნად არის გამოცემული მისი მონოგრაფიული ნაშრომები: „ქართული თეატრი“ (1879-1889 წწ.), „ნატო გაბუნია-ცაგარელისა“ (1909 წ.) და „მაკო საფაროვა-აბაშიძისა“ (1912 წ.).

ვ. გუნია დგას ქართული კინოს სათავეებთანაც. შესრულებული აქვს როლები ფილმებში: შამილი, მეფე ერეკლე II და სხვა ეპიზოდური როლები („კავკასიის დაპყრობა“. 1913 წ. რეჟ. ს. ესაძე, გ. ივანოვი, ლ. ჩერნი), გენერალი ბერხმანი („არსენა ჯორჯიაშვილი“. 1921 წ. რეჟ. ი. პერესტიანი), დიდი ვეზირი („სურამის ციხე“. 1922 წ. რეჟ. ივ. პერესტიანი), ვაჭარი ადამი („ხანუმა“. 1926 წ. რეჟ. ალ. ნუნუნავა) ევროპელი ქალის ქმარი („ამოკი“. 1927 წ. რეჟ. კ. მარჯანიშვილი), მეეზოვე („გოგი რატიანი“. 1927 წ. რეჟ. კ. მარჯანიშვილი), მუსა („მთის კანონი“. 1927წ. რეჟ. ბ. მიხინი) და სხვა.

1917 წ. თბილისში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში ქართული დრამატული საზოგადოების თაოსნობით აღინიშნა ვ. გუნიას სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე.

1921 წ. საქართველოში ჩამოყალიბდა ხელოვნების მუშაკთა კავშირი, რომლის გამგეობის პირველი თავჯდომარე ვ. გუნია იყო. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირს.

1931 წ. ვ. გუნიას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1934 წ. საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

გარდაიცვალა 1938 წ. 31 აგვისტოს თბილისში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

1963 წ. ფოთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს ვალერიან გუნიას სახელი მიენიჭა.

ვალერიან გუნისას პირადი არქივი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ხელშეკრულება, დადებული ვალერიან გუნისასა და მსახიობ ა. ადამიძეს შორის, მასზედ რომ იღებს ვალდებულებას შეასრულოს წესდებით დადგენილი ყველა პირობა.

1894 წ. 21 ოქტომბერი. ტუში. ასლი. ვალერიან გუნისას ხელმოწერით. დასტამბული. შევსებული ხელნაწერით. რუსულ ენაზე. 4 გვ.

2. ალექსანდრე იმედაშვილის ხელშეკრულება დადებული ქართულ დრამატულ საზოგადოებასა და ანდრო ადამიძეს შორის, რომ იგი მუშაობს მსახიობად ქართული დრამატული საზოგადოების „ტრუბაში“ და მონაწილეობას ღებულობს კომედიებში, ვოდევილებში, ოპერებში და დრამატულ წარმოდგენებში.

1896 წ. 27 სექტემბერი. მელანი. დაზიანებული. ხელს აწერენ: მსახიობი ანდრო ადამიძე და ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე ნ. შარია. დასტამბული, შევსებული ხელნაწერით. 4 გვ.

3. ვალერიან გუნია ქართული დრამატული საზოგადოების სახელით მიმართავს სახაზინო თეატრის დირექციას ბრწყინვალე აღდგომის კვირიდან (რადგან დიდ მარხვაში თეატრმა ვერ დაუთმო სცენა ქართულ სპექტაკლებს) ქართული დასისთვის თეატრის შენობის დროებით გადაცემის შესახებ, ახალი განრიგითა და დირექციის მიერ დადგენილი შესაბამისი ანაზღაურებით.

1906 წ. 16 მარტი. ავტოგრაფი. ტუში. ფანქარი. ბლანკი. ადევს რეზოლუცია. ხელს აწერს: ქართული დრამატული საზოგადოების რწმუნებული ვალერიან გუნია. რუსულ ენაზე. 1 გვ.

4. ქართული დრამატული საზოგადოების რწმუნებულის, ვალერიან გუნისას განცხადება თბილისის სახაზინო თეატრის დირექციისადმი. ითხოვს, შაბათსა და კვირას ქართული სპექტაკლებისთვის თეატრის შენობის დათმობას.

1906 წ. 7 აპრილი. ტუში. ფანქარი. ბლანკი. ხელს აწერს: ქართული დრამატული საზოგადოების რწმუნებული ვალერიან გუნია. ავტოგრაფი. ახლავს ორი მინაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

5. ქართული დრამატული საზოგადოების რწმუნებული ვალერიან გუნია სთხოვს სახაზინო თეატრის დირექციას: 1906 წლის დასაწყისიდან შენობა დაეთმოს ქართული სპექტაკლების ჩვენებას საღამოს წარმოდგენების ფულადი ანაზღაურებით, ხოლო საავტორო ჰონორარი გაიცეს ქართული დრამატული საზოგადოების ხარჯზე.

1906 წ. 22 მაისი. ავტოგრაფი. ტუში. ფანქარი. ბლანკი. ხელს აწერს: ქართული დრამატული საზოგადოების რწმუნებული ვალერიან გუნია. მინაწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

6. ვალერიან გუნისას თხოვნა თბილისის სახაზინო თეატრის დირექციისადმი, ქართული სპექტაკლისთვის შენობის დათმობის (პ. იბსენის „მოჩვენებანი“) შესახებ.

1906 წ. 11 ივლისი. მელანი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. ქართული დრამატული საზოგადოების რწმუნებულის, ვალერიან გუნისას განცხადება თბილისის სახაზინო თეატრის დირექციისადმი, სთხოვს დაუთმონ სცენა ქართული წარმოდგენებისთვის, სთავაზობს სპექტაკლების ახალ განრიგს და შესაბამისად ფინანსური ანაზღაურების ახალ ტარიფს.

1906 წ. 12 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ხელს აწერს: ქართული დრამატული საზოგადოების რწმუნებული ვალერიან გუნია. რუსულ ენაზე. 1 გვ.

8. ქართული დრამატული საზოგადოების რწმუნებულის, ვალერიან გუნისას განცხადება თბილისის სახაზინო თეატრის დირექციის სახელზე. ქართული დასის სპექტაკლების თვეში ორჯერ ჩვენებისა და შესაბამისი სახელფასო ანაზღაურების სიმცირის გამო, ითხოვს საღამოს სპექტაკლზე გადასახადების შემცირებას და სპექტაკლის რაოდენობის გაზრდას. სათავადაზნაურო თეატრში კაპიტალური რემონტის დამთავრებამდე, ქართული დასის უმუშევრობისა და გაჭირვების თავიდან ასაცილებლად სახაზინო თეატრის დირექციას სთხოვს თანადგომასა და დახმარებას (განიხილეს 1907 წ. 19 თებერვალს).

1906 წ. 24 ოქტომბერი. ავტოგრაფი. ტუში. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 2 გვ.

9. ხელშეკრულება დადებული ვალერიან გუნიასა და მიხ. გაჩეჩილაძეს შორის ყურნალ „ნიშადურის“ გამოცემასთან დაკავშირებით.
1907 წ. 15 აგვისტო. ტუში. ხელნაწერი. ვალერიან გუნიასა და მიხ. გაჩეჩილაძის ხელმოწერით. ასლი. 3 გვ.

10. ხელშეკრულება, დადებული ვალერიან გუნიასა და მიხ. გაჩეჩილაძეს შორის, ვალერიან გუნიას დრამატულ თხზულებათა გამოცემის შესახებ.
1913 წ. 3 ივლისი. ავტოგრაფი. ტუში. ვალერიან გუნიასა და მიხ. გაჩეჩილაძის ხელმოწერით. 1 გვ.

11. ვალერიან გუნიას განცხადება რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატისადმი ფულადი დახმარების შესახებ.
1924 წ. 30 ივლისი. ტუში. დაზიანებული. ავტოგრაფი. 1 გვ.

12. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის მიერ გაცემული მონობა ვალერიან გუნიას ოჯახური პირობებისა და მოღვაწეობის შესახებ.
1924 წ. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ს. ქურდიე და საქმეთა მმართველი პ. ჩოჩიევი. 1 გვ.

13. განათლების სახალხო კომისარიატის, სამეცნ. სახელ. დან. მთ. მმართველი შალვა დადიანი აცნობებს საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივ აღმასკომებს, რომ გაზაფხულზე წარმოდგენების გასამართად მიემგზავრება ქართული დრამატული დასი ვალერიან გუნიას მეთაურობით და სთხოვს სათანადო ორგანოებს დასის ხელმძღვანელს, მსახიობ დ. ჩხეიძეს აღმოუჩინოს დახმარება.
1928 წ. 29 მარტი. ნაბეჭდი. თბილისი. ბლანკი. ხელს აწერენ: სამეცნ. სახელ. დან. მთ. მმართველი შალვა დადიანი, კანცელარიის უფროსი (გვარი არ იკითხება). 1 გვ.

14. ვალერიან გუნიას და დ. ჩხეიძის მიერ შედგენილი „ქართველ მსახიობთა უმუშევარი კოლექტივის“ საქართველოს ფარგლებში საგასტროლო წარმოდგენების მოსაწყობად გაცემული თანხმობის მონობა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ.
1928 წ. 29 მარტი. თბილისი. მელანი. ფანქარი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: სამეცნ. სახელ. დან. მთ. მმართველი ს. თოხაძე (?), კანცელარიის უფროსი (გვარი არ იკითხება). ნაბეჭდი. 1 გვ.

15. სსსრ-ის შრომის სახ. კომისარიატი, თბილისის შრომის ბირჟა, ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიურო, აღსრულება. ქართული დრამის შრომის კოლექტივი, აღრიცხული სსსრ-ის შრომის ბირჟის კომიტეტში, ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით იგზავნება საქართველოს აჭარისტანის და აფხაზეთის ქალაქებში წარმოდგენების გასამართად.
პირი: ტ. აბაშიძე, ე. ციმაკურიძე, მ. დავითაშვილი, ა. შოთაძე, ვ. გუნია, დ. ჩხეიძე, შ. გომელაური, დ. ძნელაძე, ნ. გვარაძე, გ. ფრონისპირელი, მ. ჯუღელი, გ. იორდანიშვილი, შ. გოცირელი, გ. როგავა, ი. საყვარელიძე, ვ. კვირიკაძე. 1928 წ. 5 მაისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერენ: ხელოვნების სექციის გამგე შიპიციანი, მდივანი: როსტომოვა. 1 გვ.

16. ექსპლოატაციის განყოფილების სამგზავრო ნაწილის უფროსის (გვარი გაურკვეველია) განკარგულება დას. საქართველოში ქართული დრამის მსახიობების გასამგზავრებლად (წარმოდგენების გასამართად) რონოდას (ვაგონი) გამოყოფის შესახებ.
1928 წლის 7 მაისი. თბილისი. მელანი. ფანქარი. ასლი. ხელს აწერს: დ. პაპიტაშვილი. ნაბეჭდი. 1 გვ.

17. ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიუროში შეტანილი დავით ჩხეიძის განცხადება, მსახიობთა ერთი ჯგუფისთვის სათანადო განწესების მიცემის შესახებ.
პირი: ტ. აბაშიძე, ნ. ღვინიაშვილი, პ. ფალიაშვილი, ნ. ჭრელაშვილი. ლითანიშვილი, შ. გოცირელი, დ. ჩხეიძე, კ. კრავიშვილი.
1929 წლის 17 აგვისტო. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს: დ. ჩხეიძე. განცხადებას ადევს რეზოლუცია: გაეცეს საგზური ხელოვნების მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით. ხელმოწერა გაურკვეველია. 1 გვ.

18. ვალერიან გუნიას განცხადება საქ. სსრ-ის სახალხო განათლების კომისარიატისადმი. ოპერა „დაისის“ ლიბრეტოს საავტორო ჰონორარის ნაცვლად ითხოვს მუსიკალურ

ინსტრუმენტს.

1934 წ. 12 ნოემბერი. თბილისი. ფანქარი. ადევს რეზოლუცია. ვალერიან გუნიას ხელმოწერით. დასტამბული. 1 გვ.

19. განათლების სახალხო კომისარიატის მიმართვა ოპერის დირექტორს, ვალერიან გუნიას განცხადების შესახებ.

1935 წ. 13 თებერვალი. ბლანკი. ე. ანანიაშვილის ხელმოწერით. დასტამბული. 1 გვ.

20. მსახიობ ვალერიან გუნიას თხოვნა სახაზინო თეატრის დირექციისადმი, შაბათ დღეს ქართული სპექტაკლის ჰ. იბსენის „მოჩვენებანის“ სარეპეტიციოდ დარბაზის დათმობის შესახებ.

უთარილო. ტუში. ავტოგრაფი. ვალერიან გუნიას ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

21. ოპერის ადმინისტრაციის პასუხი თეატრალურ და სანახაობით წარმოდგენათა სამმართველოს (განსახკომი) წერილზე ვალერიან გუნიას განცხადების დაუკმაყოფილებლობის (ინსტრუმენტის გამოყოფაზე) შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

22. მოგზაურთა დასი ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით. 1. სსსრ-ის განსახკომის ხელოვნების სექტორს – სახალხო და დამსახურებულ არტისტთა რწმუნებულების მოხსენებითი ბარათი. 2. სსსრ-ის სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის თავჯდომარეს – სახალხო და დამსახურებულ არტისტთა რწმუნებულების მოხსენებითი ბარათი. ხელს აწერენ რწმუნებულები: შ. დადიანი, დ. ძნელაძე, დ. ჩხეიძე. 3. სახალხო და დამსახურებულ არტისტთა რწმუნებულების მოხსენებითი ბარათი სსსრ-ის განსახკომის ხელოვნების სექტორს. ხელს აწერენ: შ. დადიანი, დ. ძნელაძე, დ. ჩხეიძე. საუბარია თეატრის წარმატებაზე, მომავალ გეგმებზე, გასტროლებზე, კადრებზე, რეპერტუარზე. მიმართავენ შუამდგომლობით ყურადღება მიაქციონ და დააკმაყოფილონ შენობით. სთხოვენ ფინანსურ დახმარებას.

უთარილო. დაზიანებული. 1. ნაბეჭდი 3 გვ. 2. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ. 3. ხელნაწერი. მელანი. 3 ეგზ. 4 გვ.

23. საქ. კულტურის მინისტრის, თ. ბუაჩიძის მიმართვა საქ. ცკ-ის მდივან დ. სტურუა-სადმი, ფოთის სახელმწიფო თეატრისთვის ვალერიან გუნიას სახელის მინიჭების შესახებ.

უთარილო. დეკემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

24. ვალერიან გუნიას ბიოგრაფიული ცნობები. 1883 წ. – სადებიუტო პიესა „მეფე და პოეტი“. 1893 წ. – ნ. ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენება. 1895 წ. – დანიშვნა ქარვასლის მმართველად. 1887 წ. – საქართველოს კალენდრის დაარსება გრ. ჩარკვიანთან ერთად. 1879 წ. – ქართული სამუდამო სცენის დაარსება. 1903 წ. – ქუთაისი. პიესების გამოცემა. 1904 წ. – თეატრის გახსნა ყვარელში (საპრემიერო დადგმა „ნაოხარზე“). 1907 წ. – ჟურნალი „ნიშადური“ და ა. შ.

პირი: ლ. თარხნიშვილი, ნ. თარხნიშვილი, ე. ანტონოვსკაია, გრ. ჩარკვიანი, ზ. ჭიჭინაძე, ს. ბაკურაძე, კ. ნიკოლაძე, ვ. კაზარგინაშვილი, ნ. ანტონოვსკი, ვ. და ა. მირზაშვილები, აგაჯანოვი, ინაშვილი, ა. ფირალიშვილი, ს. და პ. არლუთინსკები, ს. ხიმშიაშვილი, მ. ვაჩინაძე, ივ. ანდრონიკაშვილი, გრ. ელიავა, (დ. ?) ძნელაძე, ალ. ყაზბეგი, ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა, კ. მესხი, ლ. მესხიშვილი, შიმშიაშვილი, დ. აბაშიძე, დ. ანყურელი, მ. ბებუთაშვილი, ივ. მაჩაბელი, ვლ. მიქელაძე, პ. უმიკაშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი, დ. მესხი, ვ. ქორქიაშვილი, გ. ყიფშიძე, ნებიერიძე, კ. ერისთავი, ტ. კრიკუხოვი, შ. ბილინაკი, პოპოვი, ჯაჯამაშვილი, ი. ჭავჭავაძე, დ. ერისთავი, ნ. ხიზანიშვილი, ბახტაძე, ა. ნანეიშვილი, ვ. სულხანიშვილი, დ. კეზელი, ბახტაშვილი, ვლ. მიქელაძე, ვაჟა-ფშაველა, მორბელაძე, ექ. ხელაძე, შ. კანდელაკი, დიმ. ყიფიანი, ს. მრეველიშვილი, ა. ფურცელაძე, ყუშიტაშვილი, პ. ყიფიანი, კ. მესხი, დ. ბაქრაძე, კ. ლორთქიფანიძე, მ. ჯ. ვ. როსი, მალალაშვილი, მ. მორბედაძე, ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ლ. კეცხოველი, ჯაბადარი, გ. რუხაძე, ნ. ჩხეიძე, ა. ჯორჯაძე, ტიმოფეევი, ლ. ბარათაშვილი, შ. ჩიტაძე, ა. ავალიშვილი, შ. დადიანი, დ. სარაჯიშვილი, ჩიქოვანი, ახვლედიანი, გ. წერეთელი, ყ. თავდგირიძე.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 4 გვ.

შემაჯავებთ მოღვაწეობის ამსახველი მასალა

შესრულებული როლები თეატრსა და კინოში

25. ვალერიან გუნიას კინოში შესრულებული როლების სია. შეკრებილი გ. ხარატიშ-

ვილის მიერ, მისსივე ავტოგრაფით. 2 გვ. გადანერილია ლილი გუნიას მიერ ვ. გუნიას უბის ნიგნაკიდან. 1927 წ.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

26. ვალერიან გუნიას მიერ თეატრსა და კინოში შესრულებული როლების სია. წერილის ავტორის მიერ გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი. ავტორი ი. ჯავახიშვილი.

პირი: ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ივანოვი, ლ. ჩერჩი, ი. პერესტიანი, ვლ. ბარსკი, ალ. ნუნუნავა, ბ. მიხინი, კ. მარჯანიშვილი, გ. მაკაროვი, დ. ჯანელიძე, ალ. ბურთიკაშვილი, შ. დადიანი, ნ. ჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, გ. თავზარაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.

ორიგინალური, გადმოკეთებული და ნათარგმნი პიესები

27. ვალერიან გუნიას გადმოკეთებული და ნათარგმნი პიესა: ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღები“. გერმანის როლი (10 გვ.), მაქსიმელიანეს როლი (16 გვ.), კოსინსკის როლი (11 გვ.), გრიმის როლი (4 გვ.), პასტორ მოზერის როლი (8 გვ.), როლერის როლი (10 გვ.), რაცმანის როლი (3 გვ.), შვეიცარის როლი (2 გვ.), მოზერისა და ფრანცის დიალოგი (8 გვ.).

1934 წ. მელანი. ავტოგრაფი. 9 რვეული. 62 გვ.

28. ვალერიან გუნიას მიერ გადმოკეთებული და ნათარგმნი პიესა: ა. დიუმას „ედმონდ კინი“ ანუ გენიოსი და სალახანა. I რვეული – სხვადასხვა როლები (22 გვ.), II რვეული – დარიუსის როლი (3 გვ.), III რვეული – ლორდ მელვილის როლი (4 გვ.), IV რვეული – სოლომონის როლი (28 გვ.), V რვეული – პეტერ-პეტერის როლი (5 გვ.), VI რვეული – გრაფის როლი (15 გვ.), VII რვეული – ელენას როლი (16 გვ.), VIII რვეული – ანნ დემბის როლი (18 გვ.), IX რვეული – კინის როლი (17 გვ.).

1934 წ. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. 9 ც. 132 გვ.

29. ვალერიან გუნიას დათარიღებული ხელნაწერი პიესების სია (ვალერიან გუნიას ოჯახში დაცული. შედგენილი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლის მ. ქსოვრელის მიერ).

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.

30. ვალერიან გუნიას რევოლუციამდელი პერიოდის დრამატურგია (დაზუსტებული გ. ბუხნიკაშვილის მიერ).

უთარილო. ნაბეჭდი. 4 გვ.

31. ვალერიან გუნიას ორიგინალური, გადმოკეთებული და ნათარგმნი პიესების სია. შედგენილი გ. ბუხნიკაშვილის მიერ.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 12 გვ.

32. ვალერიან გუნიას მიერ ნათარგმნი ნ. ა. კოსოროტოვის პიესა „ნიაღვარი“. დრამა 4 მოქმედებად.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 28 გვ.

33. ვალერიან გუნიას ერთმოქმედებიანი პიესა „არც აქეთ, არც იქით“.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. 1 რვეული. 32 გვ.

34. ვალერიან გუნიას პიესა „დედის-ერთა“. კომედია ერთ მოქმედებად სოფლის ცხოვრებიდან.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 23 გვ.

35. ვალერიან გუნიას მიერ გადანერილი ნაწყვეტები პიესებიდან უ. შექსპირის „ჰამლეტი“ და ა. დიუმას „ედმონდ კინი“.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. დაზიანებული. 29 გვ.

36. ვალერიან გუნიას მიერ გადმოკეთებული პიესა ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“. პირველი სცენა. პირველი მოქმედება.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 26 გვ.

სხვადასხვა იუბილესთან დაკავშირებული მასალა

37. ვალერიან გუნიას საიუბილეო საღამოს მომწყობი კომისიის კრების ოქმი. ივეგ-მება, თუ რომელ დღეს გაიმართება და სად ჩატარდება იუბილე (ერთ-ერთი ვერსიით, კინოთეატრ „აპოლოში“), ვინ გამოვა სიტყვით და ა. შ. გადანყვეტილება ეცნობა იუბილარს, გათვალისწინებული იქნება მისი სურვილი.

პირი: ი. ბარათაშვილი, ან. მაჩაბელი, ი. გედევანიშვილი, ილ. ზურაბიშვილი, ვ. აბაშიძე, ა. ჭუმბაძე, ს. ახვლედიანი, კ. ერისთავი, ს. შანშიაშვილი, გ. ქიქოძე, შ. დადიანი, ა. ნუნუ-ნავა.

1917 წ. 24 იანვარი. ხელნაწერი. მელანი. ოქმს ხელს აწერს საიუბილეო კომისიის მდივანი სანდრო შანშიაშვილი. 2 გვ.

38. ვალერიან გუნიას დაბადებიდან 85 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს სტენოგრამა. სხდომის თავმჯდომარე შალვა დადიანი. მომხსენებლები: სერგო გერსამია, ნინო ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, ალექსანდრე წუნუნავა, იოსებ გრიშაშვილი, ნინო შვანგირაძე, ვასო ურუშაძე.

პირი: ალ. ნებიერიძე, დიმიტრი ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ჩარკვიანი, დ. ერისთავი, სარდუ, შაქრო მაღალაშვილი, ილ. ჭავჭავაძე, ალ. იმედაშვილი, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, დონ-დუკოვ-კორსაკოვი, ბაბო ავალიშვილი, შერემეტიევი, ერნესტო როსი, თამარ ჭავჭავაძე, ლ. მიაიკოვსკი, დავით კეზელი (დავით სოსლანი), ლუკა ისარლიშვილი, გიორგი წერეთელი, ლადო მესხიშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძე, კარგარეთელი, კოტე შათირიშვილი, არნრუნი, სოსო გედევანიშვილი, არჩილ ავალიშვილი, ილია აგლაძე.

1947 წ. 31 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. 63 გვ. 2. ეგზ.

39. ვალერიან გუნიას საიუბილეო ღონისძიებების პროექტი (დილა-ტექნიკური მხარე). საუბარია, თუ როგორ მოეწყობა საღამო, სად გაიმართება (რამდენიმე ვარიანტია), ვინ დაესწრება. დილით იმართება საზეიმო კრება, ხოლო საღამოს წარმოდგენა. ნ. დავითაშვილის მასალებიდან.

პირი: ივ. გომართელი, გრ. რობაქიძე, ი. მაჭავარიანი, ი. გედევანიშვილი, გ. გვაზავა, სპირ. ჭედია, გ. ლასხიშვილი, ა. ჭუმბაძე, ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ფაშაღიშვილი, შ. დადიანი, მ. მდივანი, ი. ბარათაშვილი, კნ. ანასტასია მაჩაბლისა, ზ. ფალიაშვილი, ნ. გოცირიძე, მ. ლალიძე, გრ. ანთაძე, ექიმი ნ.ჯავახიშვილი, ი. ნიკოლაძე, დ. დუმბაძე, ილ. ზურაბიშვილი, ჭიაურელი, გრ. რცხილაძე, გრ. ყიფშიძე.

1917 წლის 31 იანვარი. ხელნაწერი. ტუში. 6 გვ.

40. დ. ცვარნამის ლექსი მიძღვნილი ვალერიან გუნიასადმი.

უთარილო. ქუთაისი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს ს. გერსამია. მინაწერით: „ცნობა – დ. ცვარნამის ეს ლექსი არ გამოქვეყნებულა დაბეჭდილი სახით“. 2 გვ.

41. მოწოდება ვალერიან გუნიას საიუბილეო (35 წლის აღსანიშნავი 1882-1917 წწ.) საღამოს მოწყობის შესახებ ტფილისში.

პირი: შ. დადიანი, ი. ბარათაშვილი.

უთარილო. დასტამბული. 3 გვ.

41. ა) მოწოდება ვალერიან გუნიას საიუბილეო (35 წლის აღსანიშნავი 1882-1917 წწ.) საღამოს მოწყობის შესახებ, ქუთაისში.

უთარილო. დასტამბული. 2 გვ.

სხვადასხვა

42. „ქართული სამუდამო სცენა“. ამონაბეჭდი ვალერიან გუნიას წიგნიდან ქართული წარმოდგენების შესახებ. აღნიშნულია: მსახიობთა ღვაწლი სამუდამო სცენის დაარსებისთვის, 1880 წელი – როგორც მძიმე დრო თეატრისთვის.

პირი: როინიშვილი, ბ. ჯორჯაძე, დ. ყიფიანი, გ. თუმანიშვილი, დ. ერისთავიშვილი, ნ. ავალიშვილი, ი. ბაქრაძე, ალ. სარაჯიშვილი, ი. ჭავჭავაძე, მ. საფაროვა, ნ. გაბუნია, ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ბ. ხერხეულიძე (ავალოვისა), კ. მესხი, ვ. ალექსი-მესხიშვილი, ბ. კორინთელი, მ. ყიფიანი, ნ. თომაშვილი (შიშნიევი), ა. მოხვეე (ალ. ყაზბეგი), მძინაროვი (კ. მაქსიმოძე).

1887 წ. ნაბეჭდი. 6 გვ.

43. ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი სამუშაო დავთარი სარჩევით, 104 პიესის სარეჟისორო ექსპოზიციები, ნახაზები, დეკორაციისა და რეკვიზიტის განლაგების სქემები „ბუტაფორ პერეპელიცინის“ ფსევდონიმით. ბოლო გვერდებზე ამონაჭრები პრესიდან.
1888 წ. ხელნაწერი. ტუში. ფანქარი. ლილი გუნიას ხელმოწერით, რომელიც იუნყება, რომ აღნიშნული დავთარი დანომრილია და ინახებოდა მათ ოჯახში.
214 გვ.

44. თბილისის ქართული დრამის მსახიობთა მოგზაურობა ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით. რეპერტუარი, სამოქმედო გეგმის ნუსხა.
პირი: გ. ფრონისპირელი, შ. გოცირელი, ნ. ღვინიაშვილი, მ. როგავა, დ. ჩხეიძე.
1924 წლის 28 მაისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

45. სამეცნიერო და ხელოვნების საბჭოს სხდომისთვის გადაცემული უმუშევარ მსახიობთა კოლექტივის სია, რეპერტუარი და საგასტროლო მარშრუტი. ს. თოხაძის რეზოლუციით – ნებადართული ყველა სპექტაკლის წარმოდგენა „ხანუმას“ გარდა.
პირი: ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, ე. ციმაკურიძე, ე. ანდრონიკაშვილი, ა. შოთაძე, მ. აბრამიშვილი, ვ. გუნია, დ. ჩხეიძე, ზ. გომელაური, ნ. გვარაძე, გ. ფრონისპირელი, გ. იორდანიშვილი, ი. ილურიძე, პ. ჟორდანიას, ს. გაგუა.
1928 წლის 21 მარტი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. ვალერიან გუნიასა და დავით ჩხეიძის ხელმოწერით. 2 გვ.

46. „მოგზაურთა დასის“ მსახიობების თხოვნა ხელოვნებისა და მეცნიერების კომიტეტისადმი, რკინიგზის სამმართველოსთან შუამდგომლობის განუხილავად ვაგონის გამოყოფისა და თანხის ავანსად მიცემის შესახებ. წერილს თან ერთვის „მოგზაურთა დასის“ უმუშევარ მსახიობთა კოლექტივის სია, საგასტროლო მარშრუტი, რეპერტუარი და ხარჯთაღრიცხვა.
პირი: ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, ე. ციმაკურიძე, ე. ანდრონიკაშვილი, ა. შოთაძე, ვ. გუნია, ზ. გომელაური, გ. ფრონისპირელი, ნ. გვარაძე, ი. ილურიძე, ა. მუსხერიძე, გ. იორდანიშვილი, პ. ჟორდანიას, ს. გაგუა.
1928 წლის 28 მარტი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს დავით ჩხეიძე. 3 გვ.

47. „მოგზაურთა დასის“ ხარჯთაღრიცხვა (ოცი წარმოდგენისთვის).
1932 წლის 27 სექტემბერი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.

48. ვალერიან გუნიას პიესის „დრამატული სცენა გურულთა ცხოვრებიდან“ („დაძმა“) ეპიზოდებისა და პერსონაჟების ჩამონათვალი. კონსპექტი.
უთარილო. მელანი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

49. ვალერიან გუნია. „დრამატული სცენა გურულთა ცხოვრებიდან“ („დაძმა“) სცენარი.
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 13 გვ.

მოგონებები

50. ტასო აბაშიძის მოგონება ვალერიან გუნიას შესახებ. წერს მის თვისებებზე, ორგანიზატორულ უნარზე, ნიჭზე, გასტროლების დროს ჩატარებულ სპექტაკლებზე (ქართული დრამატული საზოგადოების დასი).
პირი: ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა, ნ. გაბუნია, ლ. მესხიშვილი, კ. ყიფიანი, კ. მესხი, ელ. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, მ. დავითაშვილი, მ. შოთაძე, ე. ციმაკურიძე, შ. გომელაური, შ. გოცირელი, ნ. გვარაძე, გ. იორდანიშვილი, დ. ძნელაძე, ფრონისპირელი (გ. ყიფშიძე), დ. ჩხეიძე.
1928 წ. მელანი. ხელნაწერი. გადაწერილი დ. ჩხეიძის მიერ. 14 გვ.

51. ნინო გუნიას მოგონება ვალერიან გუნიას შესახებ. ნინო გომელაური-გუნიას ბიოგრაფია, ვალერიან გუნიას ცხოვრება და მოღვაწეობა.
პირი: კოკლენი, კ. მესხი, ე. მესხი, ვ. აბაშიძე, ვლ. მესხიშვილი, კ. ყიფიანი, ა. კარგარეთელი, ბ. ავალოვი, ელ. ჩერქეზიშვილი, მ. საფაროვა, ნ. გაბუნია, კალანდაძე, ლ. კეცხოველი, დიმ. მაჩხანელი, ი. ჭავჭავაძე, ანყურელი (დ. გამყრელიძე), ივ. მაჩაბელი, ანტ. ფურცელაძე, დ. სარაჯიშვილი, ს. ყიფიანი (ხეობელი), შალიკაშვილი, აივაზოვი, ვ. გალიცინი, ი. პიტოევი, ა. მანთაშოვი, აკ. წერეთელი, ივანიძე, ს. შანშიაშვილი, ალ. ყაზბეგი, სუმბათოვი, სლოვოჩინსკი, ვაჟა-ფშაველა, ბუზენი, პეტიპა, ბოიარსკაია, ჩერნოვცკაია.

მოხსენიებულია სპექტაკლები: „მადამ სან-ჟენი“, „ადრიენ დე რეკურიენი“, „გადაჭრილი მუხა“, „კარმენი“, „სევილიელი დალაქი“, „წითელქუდა“, „ჩიტუნია-ჩიტუნები“, „დაისი“, „დინარა“, „ნაოხარზედ“ და სხვა.
1947 წ. 30 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 18 გვ.

52. ვასო ურუშაძის მოგონება ვალერიან გუნიას შესახებ. იგონებს როგორც პიროვნებას, რეჟისორს, დასის ხელმძღვანელს, მის დებიუტს „ქართულ დასში“. გვიამბობს ქართული თეატრისთვის განეულ ამაგ ზე, თავად მენგრელსკის ზუგდიდის (ნიკო დადიანის) სასახლეში დადგმულ წარმოდგენაზე, გასტროლებს საქართველოში. გაგრძელებს სპექტაკლს („ლალატი“) დაესწრო პრინცი პეტრე ოლდენბურგი.

პირი: ალ. იმედაშვილი, გ. იშხნელი, ვალ. შალიკაშვილი, ალ. ყალაბეგიშვილი, დ. მგალობლიშვილი, ო. ლეჟავა, ბ. ბეგლარიძე (ახოსპირელი), ი. გრიშაშვილი, ე. ნინოშვილი, კ. ოცხანელი, თ. კიკვიძე, პ. ირეთელი, ს. ლეონიძე, დ. ერისთავი, კ. ყიფიანი, ბ. ავალ-იშვილი, ლ. ხიმშიაშვილი, კ. მარჯანიშვილი, ვ. აბაშიძე, ალ. ნუნუნავა, ლ. მირიანაშვილი, მ. საფაროვა-აბაშიძე, გ. კანდელაკი, კ. მესხი, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. გამყრელიძე, კ. შათირიშვილი, ა. ადამიძე, ვ. ალშიბაია (დადიანების სასახლის მამულების მმართველი), პ. ოლდენბურგი, კაპიტანი სტაროსელსკი (გაგრის კომენდანტი, ოლდენბურგის ადიუტანტი), ალ. სუმბათაშვილი, ე. მესხი, ტ. აბაშიძე, ნ. ჯავახიშვილი, მ. მდივანი, ს. ივანიძე. უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 1 რვეული. არასრული. 11 გვ. ნაბეჭდი. 24 გვ. 3. ეგზ.

53. ცაცა ამირეჯიბის მოგონება ვალერიან გუნიას შესახებ (ნაკითხული ფოტოში გუნიას სალამოზე).

პირი: ვ. აბაშიძე, გ. ერისთავი, ლ. მესხიშვილი, მ. საფაროვა, ნ. გაბუნია, გ. იშხნელი, ვ. უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ.

პროგრამები

54. ქართული თეატრის პროგრამა ფოტოსურათებით. ვალერიან გუნიას უკანასკნელი წარმოდგენა „ოტელო“. მესამე გვერდზე ახლავს მინაწერი: „თეატრალურ მუზეუმს ს. თარალაშვილი 14. 06. 55 წ.“

1903 წ. 27 აპრილი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

55. სახაზინო თეატრის ქართული დრამატული დასის პროგრამა. ვალერიან გუნიას საბენეფისოდ წარმოდგენილი სპექტაკლები „ნაოხარზედ“ და „ახირებული შემთხვევა“.

1904 წ. 8 დეკემბერი. ტფილისი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

56. ქართული დრამატული საზოგადოების მიერ სახაზინო თეატრში წარმოდგენილი ვალერიან გუნიას საბენეფისო სპექტაკლების – „ორი გმირი“ და „ცრუპენტელა“ – პროგრამა.

1906 წ. 9 თებერვალი. დასტამბული. 1 გვ.

57. ვალერიან გუნიას სათეატრო, სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი სალამოს, სპექტაკლ „აღლუმის“ პროგრამა.

1917 წ. 29 აპრილი. დასტამბული. 1 ც. დაზიანებული. 2 გვ. 2 ეგზ.

58. შმავესკის ახალ თეატრში ვალერიან გუნიას სამწერლო, სასცენო და საზოგადო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავად გამართული საზეიმო კრების მხატვრული პროგრამა. ვალერიან გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა „სიძე-სიმამრი“.

პირი: ა. ყალიბეგაშვილი, თ. ნაკაშიძე, მ. მდივანი, ზ. გომელაური, ი. კობახიძე.

1917 წ. 3 ივნისი. ვ. გუნიას ფოტოსურათით და ავტოგრაფით. დასტამბული. 1 გვ.

59. ქართული დრამის საგასტროლო პროგრამა ელ. ჩერქეზიშვილის, ტ. აბაშიძის და ვალერიან გუნიას მონაწილეობით.

1928 წ. თბილისი. დასტამბული. 1 გვ.

60. ქუთაისის დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი ვილდენბრუხის „ქოჩრიანი ტოროლას“ პროგრამა.

უთარილო. ქუთაისი. მეორე გვერდზე ახლავს სხვადასხვა განცხადება. დასტამბული.

2 გვ.

61. ვალერიან გუნიას საგასტროლოდ, ბათუმის ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ „რკინის თეატრში“ წარმოდგენილ სპექტაკლ „ოტელოს“ პროგრამა. რეჟისორი: შალვა დადიანი.

უთარილო. დასტამბული. 1 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

ვალერიან გუნიას წერილები

62. ვალერიან გუნიას წერილი მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი. ბარათში საუბარია მაკოს პენსიის დანიშვნის შესახებ, აგრეთვე ახალ დადგმაზე „თავის ბრალი“.

პირი: ავალიშვილი, ქებურიძე, ჩხეიძე, კუნდელი.

1901 წ. 31 მარტი. ბლანკი. ავტოგრაფი. 4 გვ.

63. ვალერიან გუნიას წერილი ლიზასადმი (ე. ჩერქეზიშვილი). საუბარია ლიზას იუბილეზე, ვალერიან გუნიასა და ლიზას ავადმყოფობაზე, აგრეთვე პიესის (გაურკვეველი?) შეცვლის შესახებ.

პირი: გედევანიშვილი.

უთარილო. სავიზიტო ბარათი. ავტოგრაფი. 2 გვ.

64. ვალერიან გუნიას პირადი ხასიათის წერილი მიხა გაჩეჩილაძისადმი, ფინანსური დახმარების შესახებ.

უთარილო. ავტოგრაფი. 1 გვ.

65. ვალერიან გუნიას წერილი მაკო საფაროვასადმი. სთხოვს თეატრში მისვლას, ფინანსურ დახმარებას, რომელსაც ფოთში გამართულ სპექტაკლების შემოსავლიდან გაისტუმრებს.

პირი: ს. ივანიძე.

უთარილო. ავტოგრაფი. 2 გვ.

სხვადასხვა პირთა წერილები

66. გ. ნანეიშვილის წერილი ვალერიან გუნიასადმი, სთავაზობს ჟურნალ „ნიშადურთან“ თანამშრომლობას.

1907 წ. 27 აგვისტო. ავტოგრაფი. გ. ნანეიშვილის ხელმოწერით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

67. შალვა დადიანის წერილი ვალერიან გუნიასადმი. მაძღობას უხდის გაზეთ „სახ. გაზეთში“ გამოქვეყნებული რეცენზიისთვის და საუბრობს ბათუმის დასისა და მისი საქმიანობის შესახებ.

1913 წ. 19 სექტემბერი. ავტოგრაფი. ტუში. დაზიანებული. 2 გვ.

68. ლ. გამყრელიძის წერილი ვალერიან გუნიასადმი. სთხოვს „შორაპნის ამხანაგობისთვის“ რეკომენდაციას, კომერციული საქმიანობის აგენტის თანამდებობაზე, რომელიც გამოცხადდა გაზეთ „ნიშადურში“.

უთარილო. ხელნაწერი. ლ. გამყრელიძის ხელმოწერით. 1 გვ.

69. ზ. ედილაშვილის წერილი ვალერიან გუნიასადმი. სთხოვს გაუგზავნოს გაზეთ „ნიშადურის“ 15 ეგზემპლარი.

უთარილო. ზ. ედილაშვილის ხელმოწერით. ხელნაწერი. 1 გვ.

სხვადასხვა წერილები

70. ერასტი კობრეიძის წერილი ჟურნალ „ნიშადურის“ რედაქციისადმი, სამტრედიაში პრესის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით.

1907 წ. 20 სექტემბერი. ავტოგრაფი. ტუში. 2 გვ.

71. მსახიობთა ამხანაგობის გამგეობის წევრის, ვანო საყვარელიძის წერილი მიხეილ გაჩეჩილაძესადმი, სწერს რომ, ყვირილაში კონცერტის გამართვისა და სპექტაკლის დადგმის მიზნით სურს ვალერიან გუნიას მიწვევა. მეორე გვერდზე არის მიხეილ გაჩეჩილაძის მინაწ-

ერი ვანო საყვარელიძის ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ.

1908 წ. ივნისი. ავტოგრაფი. ვ. საყვარელიძისა და მ. გაჩეჩილაძის ხელმოწერებით. 2 გვ.

72. ს. მგალობლიშვილის წერილი იოსებ ნიკოლაძისადმი, სადაც ატყობინებენ, რომ ვალერიან გუნიას 35 წლის სამწერლო, სასცენო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით გამოიცემა აღმანახი. ამასთან დაკავშირებით სთხოვენ გაუგზავნოს თავისი ნაწარმოები, რომელიც დაკავშირებულია ვალერიან გუნიას მოღვაწეობასთან.

პირი: აღმახანის რედაქტორი ს. მგალობლიშვილი, გამომცემელი მ. გაჩეჩილაძე.

უთარილო. ფანქრით მინაწერია, რომ ეს წერილი ეკუთვნის მერკვილაძეს და არ გაიგზავნა ადრესატამდე. დასტამბული. შევსებული ხელნაწერით. 1 გვ.

ბარათები

73. მოსანვევი ბარათი ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართულ, ვალერიან გუნიას დაბადებიდან 85 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს შესახებ.

პირი: გ. ბუხნიკაშვილი, პ. კანდელაკი.

1947 წ. 31 მარტი. დასტამბული. 3 გვ. 3 ეგზ.

74. მოსანვევი ბარათი გ. ბუხნიკაშვილისადმი. საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა ამავე სახლის კლუბში მართავენ ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწის, რესპ. სახ. არტისტ ვალერიან გუნიას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს, გარდაცვალებიდან 15 წლის გამო.

პირი: მ. დადიანი, დ. ჯანელიძე.

1953 წ. 7 სექტემბერი. თბილისი. დასტამბული. 8 გვ. 2 ეგზ.

75. ვალერიან გუნიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მოსანვევი ბარათი (ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში).

1963 წ. 20 მაისი. თბილისი. დასტამბული. 3 გვ.

76. ვალერიან გუნიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მოსანვევი ბარათი (ფოთის სახელმწიფო თეატრში).

1963 წ. 29 მაისი. ფოთი. დასტამბული. 9 გვ. 3 ეგზ.

77. ცხაკაიას თეატრში გამართული ვალერიან გუნიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამსვლელი სამეცნიერო სესიის მოსანვევი ბარათი-პროგრამა.

1963 წ. 12 ივნისი. თბილისი. დასტამბული. 9 გვ. 3 ეგზ.

78. ფოთის სახელმწიფო თეატრში გამართული ვალერიან გუნიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოსანვევი ბარათი.

1963 წ. 29 მაისი. ფოთი. დასტამბული. 3 გვ.

79. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართული საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილი მსახიობისა და დრამატურგის, ხელოვნების სახლის დამაარსებლის, რესპ. სახ. არტისტის ვალერიან გუნიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

1973 წ. 27 იანვარი. თბილისი. დასტამბული. 9 გვ. 3 ეგზ.

80. ვალერიან გუნიას სავიზიტო ბარათი. მინაწერით – გიორგი თუთბერიძე აუწყებენ გაბოს, რომ ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრებინ მის წვეულებას და უხდინა ბოდიშს.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. დაზიანებული. დასტამბული. 2 გვ.

81. მაღლობის ბარათი ვალერიან გუნიას შემოწირულობისთვის.

უთარილო. მელანი. ფანქარი. ბეჭედდასმული. მეორე გვერდზე მინაწერით. 2 ეგზემპლარი. დასტამბული. 2 გვ. ხელს აწერს საზეიმო კომიტეტის თავმჯდომარე და ხაზინადარი (გვარი არ იკითხება).

ოფიციალური მასალა

82. ტფილისის სახაზინო თეატრის საღაროს პატაკი ვალერიან გუნიას იუბილესთან დაკავშირებით. დარბაზის დანომრილი რიგები, ადგილები და ფასები.

1917 წ. 29 აპრილი. დასტამბული, შევსებული ხელნაწერით. რუსულ ენაზე. 4 გვ.

83. ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების, საზეიმო კომიტეტისა და კორპორაციის მიმართვა მოქალაქეებისადმი, სადაც იუნჯებიან ვალერიან გუნიას მოღვაწეობის 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით (1882-1917), „მაღლობის დღის“ ზემოთ აღნიშვნის შესახებ.

1918 წ. 13 მაისი. ქუთაისი. დასტამბული. 2 გვ.

84. ამონაწერი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის სხდომის ოქმიდან. განიხილეს ქართული დრამის უმუშევარ მსახიობთა დასაქმების საკითხი.

1928 წ. 26 მარტი. თბილისი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: თავმჯდომარე დიასამიძე და მდივანი გაჩეჩილაძე. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

85. საქართველოს მუშაკთა კ/კავშირის გამგეობა შრომის ბირჟის კომიტეტს სთხოვს სათანადო მატერიალურ დახმარებას.

1928 წ. 31 მარტი. მელანი. ფანქარი. ბლანკი. ხელს აწერენ: თავმჯდომარე დიასამიძე და საქმეთა მმართველი გაჩეჩილაძე. ნაბეჭდი. 1 გვ.

86. ამონაწერი შრომის ბირჟის კომიტეტის ოქმიდან. მოისმინეს შიპიციანის მოხსენება საოპერო და ქართული დრამის კოლექტივების დაარსებისა და საჭირო თანხის გაღების შესახებ. საოპერო კოლექტივი იმუშავებს თბილისის მუშათა კლუბში, ხოლო ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით კოლექტივი იმოგზაურებს პროვინციაში. დაადგინეს: აღნიშნული პროექტები წარედგინოს შესათანხმებლად ს. პ. კ. ს-ის კულტგანყოფილებას.

1928 წ. 10 აპრილი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: მდივანი სირაძე. ნაბეჭდი. 1 გვ.

87. შრომის ბირჟის კომიტეტის მოწმობა. ადასტურებს ქართული დრამის კოლექტივების დაარსებასა და მფარველობას.

1928 წ. 3 მაისი. თბილისი. მელანი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: კომიტეტის თავმჯდომარე ს. არეშიძე. ნაბეჭდი. 1 გვ.

88. მთავარ სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარეს, ხელოვნების საშუამავლო ბიუროს სთხოვს ქართველ მსახიობთა კოლექტივს დაუთმონ საჭირო ტანსაცმელი რუსთაველის თეატრის გარდერობიდან.

1928 წ. 5 მაისი. მელანი. ბლანკი. ხელს აწერენ: ხელოვნების სექციის გამგე შიპიციანი და მდივანი როსტომოვა. ნაბეჭდი. 1 გვ.

89. სსრკ ამიერკავკასიის რკინის გზების მოძრაობის სამსახურის განრიგი, ქართული სახელმწიფო დრამის თეატრის აღმ. საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

1928 წ. 27 ივნისი. ფანქარი. ხელს აწერს: სამგზავრო ნაწილის უფროსი (გვარი გაურკვეველია, სავარაუდოდ, ბოკერია). დასტამბული, შევსებული ხელნაწერით. 1 გვ.

90. სახალხო და დამსახურებულ მსახიობთა სხდომის ოქმი მომხსენებელი შალვა დადიანი. ესწრებიან: ელ. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, ქ. ანდრონიკაშვილი, გ. ივერიელი, ანკარა, ვ. გამყრელიძე, გელოვანი, მატარაძე, იორდანიშვილი, ჩხეიძე. კრებაზე განიხილეს მსახიობების ანარიცხებისა და გასამრჯელოების საკითხი. აღნიშნულია რეპერტუარი და მსახიობთა სია.

1933 წ. 18 მარტი. ხელნაწერი. ფანქარი. 3 გვ.

91. სოცუზრუნველყოფის კომისარიატთან არსებული კულტსექტორის დაარსების კრების ოქმი. შალვა დადიანი აცნობს სოცუზრუნველყოფის კომისარიატთან არსებულ კულტსექტორის დაარსებას. კულტსექტორის თავმჯდომარე დახმარებას პირდება წარმოდგენების გამართვაში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სახალხო და დამსახურებული მსახიობები. წარმოდგენილია იმ პერიოდის რეპერტუარი და ხარჯთაღრიცხვა.

პირი: ლ. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, ქ. ანდრონიკაშვილი, გ. ივერიელი, ს. ანკარა, შ. დადიანი, ვ. გამყრელიძე, გ. გელოვანი, დ. ჩხეიძე, ვ. მატარაძე, გ. იორდანიშვილი, ვ. გუნია, რამიშვილი, გელეიშვილი.

1933 წ. 18 მარტი. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ.

სხვადასხვა

92. სათავად-აზნაურო სკოლის მონაფეების მიერ ვალერიან გუნისადმი მიძღვნილი ლექსი.

1903 წ. 13 თებერვალი. დასტამბული. 1 გვ.

93. სახაზინო თეატრისა და ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ ვალერიან გუნისა საბენეფისოდ წარმოდგენილი სპექტაკლის, ევგენი ჩირიკოვის „ებრაელების“ ანონსი.

1908 წ. 21 თებერვალი. დასტამბული. ტფილისი. მხატვრულად გაფორმებული. ახლავს გუნისა და ევგენი ჩირიკოვის პორტრეტები. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

94. მცირე ზომის აფიშა ქართული თეატრის მიერ ვალერიან გუნისა საბენეფისოდ წარმოდგენილი სპექტაკლისთვის „ძალა აღმართს ხნავს“. მონაწილეობს ნინო ჩხეიძე.

1910 წ. 25 თებერვალი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

95. „ჩემი მსახიობობა სინემატოგრაფიაში“. ვალერიან გუნია წერს ფილმის (?) გადაღების პროცესზე, სირთულეებზე, ანაზღაურებაზე. ფილმის რეჟისორია ჩერნი. წერილში ჩამოთვლილია მის მიერ კინემატოგრაფიაში შესრულებული როლები. ნახსენებია კინოსცენარი „და-ძმა“. ბოლო გვერდზე მინაწერია: გადანერილია დოღო გუნისა მიერ. ამონერილი ვალერიან გუნისა დღიურიდან „ფიქრები და შენიშვნები“.

პირი: ს. ივანიცკაია, ადელგეიმი, ზოდონცევი (ადელგეიმის მოურავი და მონაფე), დრანკოვი, რეჟ. ივანოვი, დ. მგალობლიშვილი, ჩერნი, რეინგარტი.

1913 წ. დეკემბერი. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ.

96. მცირე ზომის აფიშა, ვალერიან გუნისა 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, თბილისის სახელმწიფო თეატრში გამართული საზეიმო ეროვნულ-კულტურული კრების შესახებ.

1917 წ. 29 აპრილი. დასტამბული. დაზიანებული. 1 გვ.

97. თეატრალურ საზოგადოებაში გამართული ვალერიან გუნისა ხსოვნის საღამოს სტენოგრამა.

პირი: ტ. აბაშიძე, შ. დადიანი, გ. დავითაშვილი, ნ. გვარამე, ვ. ნინიძე, ნ. გუნია (ვალერიან გუნისა მეუღლე), კ. ანდრონიკაშვილი, გ. ტაბიძე, რ. ქორქია, გ. თავზიშვილი, ალ. ბურთიკაშვილი, ნ. კველიშვილი, კ. გოგოძე.

1953 წ. 7 სექტემბერი. ნაბეჭდი. 12 გვ.

98. ფოთის პიონერების წარმომადგენლის მიერ წაკითხული სიტყვა ვალერიან გუნისა იუბილეზე (გარდაცვალებიდან 25 წლისთავი).

1963 წ. 29 მაისი. ფოთი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

99. ალექსანდრე ტუგანოვის დეპეშა თბილისის ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი ვალერიან გუნისა გარდაცვალების გამო.

უთარილო. ბაქო. ნაბეჭდი. მელანი. საგანგებო ბლანკი. მინაწერებით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

100. ს. გერსამიას მიერ შედგენილი ვალერიან გუნისა ბიოგრაფიული მონაცემები.

პირი: ლ. გუნია, ა. ჩიჩუა, ნ. ჩერნიშევსკი, ალექსანდრე III, ვ. აბაშიძე, ბანვილი, ლ. მესხიშვილი, მ. საფაროვა-აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, მ. მდივანი, ალ. იმედაშვილი.

უთარილო. ხელნაწერი. 5 გვ.

101. ვალერიან გუნისა ავტობიოგრაფია აკაკი ფალავასთვის წარსადგენად. აკაკი ფალავას რეზოლუციით.

პირი: დ. აწყურელი (გამყრელიძე), ვ. აბაშიძე, ვოლტერი, ივ. მაჩაბელი, ი. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, ლ. მესხიშვილი, ნ. ჩხეიძე.

უთარილო. ავტოგრაფი. ტუში. 3 გვ.

102. ალ. ბურთიკაშვილის წერილი ვალერიან გუნისა შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ, მის ღვაწლზე პროფესიონალური დასის ჩამოყალიბებასთან (1879 წ.) დაკავშირე-

ბით.

პირი: მ. ერმოლოვა, ალ. ლენსკი, ა. სუმბათაშვილი, კ. ყიფიანი, ზ. ფალიაშვილი, რ. გოგინაშვილი, როსინი, ბიზე.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

103. ვალერიან გუნისას სიტყვა ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

104. ვალერიან გუნისას გამონათქვამი კოტე მესხის შესახებ. ამოღებული მისივე ნიგნიდან „ქართული თეატრი 1879-1889 წწ.“ გვ. 116.
უთარილო. ტუში. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

105. ვალერიან გუნია ცხოვრებაში. ლითოგრაფიული სურათები.
უთარილო. ნაბეჭდი. 2 ეგზემპლარი. 2 გვ.

106. რეცენზია ვალერიან გუნისას დრამის „და-ძმის“ შესახებ. გაზეთი „ივერია“, 1892 წ. 3 ნოემბერი. 232.
უთარილო. ნაბეჭდი. 6 გვ.

107. ვლ. მაიაკოვსკის პასუხი ვ. გუნისას სადღეგრძელოზე. „ლიტერატურული გაზეთი“, 1933 წ. 31 ოქტომბერი. 23.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 5 გვ.